საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1614

08/12/2021

ქ. თბილისი

„შპს „აგროენერჯის" „კაზრეთი ჰესი"-ს ჰიდროელექტროსადგურის, ქვესადგურის და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის" მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის №2-511 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „აგროენერჯის" მიერ წარმოდგენილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიანეთში „კაზრეთი ჰესი"-ს ჰიდროელექტროსადგურის, ქვესადგურის და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის" მიმდინარე საქმიანობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის №2-511 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№40; 31.05.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „აგროენერჯის" „კაზრეთი ჰესი"-ს ჰიდროელექტროსადგურის, ქვესადგურის და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის" მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის №2-511 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „აგროენერჯის" „კაზრეთი ჰესი"-ს ჰიდროელექტროსადგურის, ქვესადგურის და 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის" მიმდინარე საქმიანობაზე;"

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შპს „აგროენერჯიმ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგროენერჯის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგროენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი